186
1980

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5

სექტემბერი — ოქტომბერი

1980 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

16643

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5 სექტემბერი—ოქტომბერი 1980 წ.

შინაარსი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

72. მეცნიერების საკითხებზე საქართველოს კპ ცეტნრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
73. საქართველოს სსრ ფარგლებში შავი ზღვის სანაპირო ზონის შესწავლისა და დაცვის რესპუბლიკური სამსახურის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

74. ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებლისათვის საინჟინრო ჯარების მარშლის ა. ვ. გელოვანის სახელის მინიჭების შესახებ.
75. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების დებულების დამტკიცების შესახებ.
76. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს საქართველოს სსრ რწმუნებულის აპარატთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს დებულებისა და აღნიშნული საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.
77. მ. ჯავახიშვილის იუბილესთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ.
78. „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში საწარმოო გაერთიანებათა შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 24 ივნისის № 470 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე.

ს. ზარეცკის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

79. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 14 ივლისის № 454 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ.

80. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

81. ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გონივრულად გამოყენების დარგში თვალსაჩინო ნამუშევრებისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, აკადემიკოსის თეოფანე ფარნას-ძე დავითაიას სახელობის პრემიის მინიჭების დებულების დამტკიცების შესახებ.

82. არასაცხოვრებელი სადგომების საიჯარო ქირის განაკვეთების დამტკიცების შესახებ.

83. საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის საკითხები.

84. ბოლნისის ტუფის ფილების საბითუმო ფასის დამტკიცების შესახებ.

85. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 30 ივნისის № 538 დადგენილების მე-4 დანართში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის შესახებ.

86. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს დებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

87. „მეორეული ნედლეულის დამზადებისა და გამოყენების საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 17 სექტემბრის № 803 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე.

მუხ. 72
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

72 მეცნიერების საკითხებზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 25 ივლისის № 427 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის გამოცემასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. კოლგინი.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 2 სექტემბერი, № 693

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 2 სექტემბრის № 693 დადგენილებით

ნუსხა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძალადაკარგული დადგენილებებისა მეცნიერების საკითხებზე

1. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 13 ივნისის № 372 დადგენილება „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან სოფლის მეურნეობის აკადემიის მოწყობის შესახებ“.

2. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 8 ოქტომბრის № 641 დადგენილება „საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის დაარსების შესახებ“.

3. მე-10 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 29 ოქტომბრის № 690 დადგენილებისა „სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

73 საქართველოს სსრ ფარგლებში შავი ზღვის სანაპირო ზონის შესწავლისა და დაცვის რესპუბლიკური სამსახურის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ, შავი ზღვის ნაპირის დაცვის მიზნით ყოველწლიურად რესპუბლიკაში მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელების მიუხედავად, საპლაჟე ზონების მდგომარეობა როგორც მოქმედი, ისევე დასაპროექტებელი სანაპირო კურორტებისა და ქალაქების რაიონებში კვლავ უარესდება. საქართველოს სსრ ფარგლებში შავი ზღვის სანაპიროს 306 კილომეტრი საერთო სიგრძიდან წარეცხილი ნაპირის სიგრძე უკანასკნელ ათ წელიწადში 180 კილომეტრამდე გაიზარდა, ამასთან მთლიანად წაირეცხა ბუნებრივ-კლიმატური პირობებით ყველაზე მნიშვნელოვანი 25 კილომეტრი სიგრძის პლაჟი.

უკანასკნელი 15 წლის მანძილზე საქართველოში შავი ზღვის ნაპირის დინამიკის ბუნებრივ პროცესებს ორმოცამდე ორგანიზაცია იკვლევდა. სპეციალიზაციის სფეროსა და პროფილის მიხედვით სხვადასხვა ამ ორგანიზაციების გამოკვლევათა შედეგები ხშირად საპირისპირო და საწინააღმდეგოა.

ამიერკავკასიის რკინიგზისა და საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ობიექტების მიხედვით ნაპირდაცვის ნაგებობათა დაპროექტებას აწარმოებს ინსტიტუტი „კავტრანსსახპროექტი“, ხოლო სხვა ობიექტებისა — პროფილით სხვადასხვა ინსტიტუტები. მაგალითად, კურორტ ბიჭვინთის რაიონში 6 კილომეტრი სიგრძის სანაპირო მონაკვეთზე საპროექტო-საძიებო სამუშაოები შეასრულეს ინსტიტუტებმა „მოსპროექტმა“, „ჩერნომორნიიპროექტმა“, რუსეთის სფსრ „იუჟგიპროკომუნსტროიმ“, ს. ი. ჟუკის სახელობის ჰიდროპროექტმა, ინსტიტუტ „ჰიდროპროექტის“ თბილისის განყოფილებამ და სხვებმა.

საქართველოს სსრ ფარგლებში შავი ზღვის სანაპირო ზონის შესწავლისა და დაცვის რესპუბლიკური სამსახურის სრულყოფის, ზღვის ნაპირების დაცვისადმი ვიწროუწყებრივი და კუთხური მიდგომის აღმოფხვრის და ამ საქმეში ერთიანი მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. შეიქმნას 1981 წლის 1 იანვრიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის ზღვის ნაპირების დინამიკის ლაბორატორიის, ინსტიტუტ „კავტრანსსახპროექტის“ ნაპირდაცვის ნაგებობათა დაპროექტების განყოფილების, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს შავი ზღვის სანაპიროზე ნაპირსამაგრებელი და მეწყერსაწინააღმდეგო ნაგებობებისა და მათი ექსპლუატაციისადმი ზედამხედველობის რესპუბლიკური სამმართველოს და სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს „ნაპირგამაგრების“ ბაზაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შავი ზღვის სანაპირო ზონის ბუნების შესწავლისა და დაცვის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება — „საქზღვანაპირდაცვა“ სამეცნიერო-კვლევითი სექტორის, საპროექტო-საკონსტრუქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორო ბიუროს, ქ. სოხუმში, ბათუმში, ფოთსა და გაგრაში სპეციალიზებული მექანიზებული კოლონების შემადგენლობით (კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის გადიდებისა და საპროექტო-საძიებო დოკუმენტაციის მზაობის კვალობაზე).

დაწესდეს, რომ „სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 30 დეკემბრის № 1062 დადგენილების შესაბამისად გაერთიანების სამეცნიერო-კვლევითი სექტორი ამავე დროს არის გაერთიანების მთავარი სტრუქტურული ერთეული.

2. დაევალოს კომისიას ამხ. ი. ი. ქედიშვილის (თავმჯდომარე), ფ. ა. ანანიაშვილის, ი. გ. გვერდწითელის, გ. ს. ვაშაკიძის, ვ. ი. კაჭარავას, ა. გ. კიკნაძის, გ. ზ. მირიანაშვილის. ი. ს. ჟორდანიას, ა. ა. შუშანაშვილის, რ. ა. ჯაფარიძის შემადგენლობით ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად:

— სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქზღვანაპირდაცვის“ სტრუქტურა და შტატები:

— სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქზღვანაპირდაცვის“ დებულება „სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 30 დეკემბრის № 1062 დადგენილების შესაბამისად.

3. დაეკისროს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას „საქზღვანაპირდაცვას“ ღონისძიებათა კომპლექსის შესრულება „მეცნიერება-წარმოების“ სამუშაოთა მთელი ციკლის მიხედვით, რომელიც შეიცავს შავი ზღვის სანაპირო ზონის დინამიკის ბუნებრივ პროცესთა სტაციონარულ-სარეჟიმო და თემატურ გამოკვლევებს, და შესაბამისი რეკომენდაციების მიცემა პროექტების შესადგენად, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავება და ნაპირსამაგრებელ ნაგებობათა და პლაჟების მშენებლობის, რემონტისა და ექსპლუატაციის განხორციელება.

4. დაწესდეს, რომ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქზღვანაპირდაცვის“ შენახვის ხარჯები გაიღება სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისათვის გამოყოფილი სახსრებიდან, საბიუჯეტო ასიგნებებიდან (სამეცნიერო სექტორი, ექსპლუატაციის სამუშაოები) და ნაპირსამაგრებელ ღონისძიებათა განხორციელებისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებებიდან (საპროექტო და სამშენებლო ქვედანაყოფების აპარატი).

5. დაწესდეს, რომ:

— გაერთიანება „საქზღვანაპირდაცვის“ სამეცნიერო სექტორი თავის სამეცნიერო საქმიანობას შეუთანხმებს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს;

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 30 დეკემბრის № 1062 დადგენილებით დამტკიცებული სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების დებულების შესაბამისად სამეცნიერო-კვლევითი სექტორის დირექტორი ამავე დროს არის გაერთიანების გენერალური დირექტორი;

— სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქზღვანაპირდაცვის“ გენე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალურ დირექტორსა და დირექტორის მოადგილეებს ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

6. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქზღვანაპირდაცვის“ შექმნასთან დაკავშირებით:

— საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ გადასცეს დადგენილი წესით 1981 წლის 1 იანვრიდან შესაბამისი გაფორმებით სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას „საქზღვანაპირდაცვას“ ნაპირსამაგრებელ სამუშაოთა შემკვეთის ფუნქციები, 1981 წლის 1 იანვრისათვის დაუმთავრებელი ნაპირგამაგრების სამშენებლო ობიექტები, მის საქვეუწყებო შავი ზღვის სანაპიროს ნაპირსამაგრებელი და მეწყერსაწინააღმდეგო ნაგებობებისა და მათი ექსპლუატაციისადმი ზედამხედველობის რესპუბლიკური სამმართველოს და სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს „ნაპირგამაგრების“ ბალანსზე რიცხული ძირითადი ფონდები და საშუალებანი (შენობა-ნაგებობანი, სანავსადგურო და სასაწყობო მეურნეობა, მექანიზმები, მცურავი საშუალებანი და სხვ.), მატერიალურ-ტექნიკური რესურსები და მათი ფონდები, აგრეთვე ამ სამმართველოთა პერსონალის საშტატო ერთეულები და მისი შენახვის ზღვრული ასიგნებანი;

— საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტმა გადასცეს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას „საქზღვანაპირდაცვას“ ბალანსიდან ბალანსზე ზღვის ნაპირების დინამიკის ლაბორატორიისადმი რიცხული აპარატურა, მცურავი საშუალებანი და სხვა ძირითადი საშუალებანი, ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქზღვანაპირდაცვა“ საჭიროების კვალობაზე უზრუნველყოფს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას მცურავი საშუალებებით, მოწყობილობით, აპარატურით, ექსპედიციების სამუშაო ადგილითა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით სანაპიროს ფუნდამენტურ გამოკვლევათა განსახორციელებლად.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახმომარაგებამ განიხილონ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქზღვანაპირდაცვის“ საჭირო მოწყობილობით, მექანიზმებით, ხელსაწყოებით, აპარატურით, სატრანსპორტო და სხვა ძირითადი საშუალებებით დამატებითი აღჭურვის საკითხი და 1980 წლის 1 ნოემბრამდე წარმოუდგინონ წინადადება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა:

— გაითვალისწინოს, მოყოლებული 1981 წლიდან, რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებში კაპიტალურ დაბანდებათა გამოყოფა ნაპირდაცვის ღონისძიებათა განსახორციელებლად უშუალოდ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქზღვანაპირდაცვისათვის“:

— გაითვალისწინოს 1981-1985 წლებში სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქზღვანაპირდაცვისათვის“ კაპიტალურ დაბანდებათა გამოყოფა საწარმოო, სარემონტო და ექსპერიმენტული ბაზების ასაშენებლად, მოწყობილობის, მექანიზმების, სატრანსპორტო და მცურავ საშუალებათა შესაძენად;

— სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქზღვანაპირდაცვაში“ სპეციალისტთა მიზიდვისა და შენარჩუნების მიზნით გაითვალისწინოს აღნიშნული გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთიანებისათვის კაპიტალურ დაბანდებათა გამოყოფა საბინაო მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობის მისაღებად.

9. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა გაითვალისწინონ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გეგმებში სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქზღვანაპირდაცვის“ მიერ მეცნიერული და ლაბორატორიული გამოკვლევების განხორციელება საქართველოს სსრ ფარგლებში შავი ზღვის ნაპირების შესასწავლად და დასაცავად.

10. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინოს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქზღვანაპირდაცვისათვის“ საბიუჯეტო ასიგნებათა გამოყოფა წარეცხვისა და ნგრევისაგან საქართველოს ზღვის ნაპირების დაცვის სამუშაოთა საწარმოებლად.

11. ზღვის დამანგრეველი ზემოქმედებისაგან შენობა-ნაგებობათა დაცვის უზრუნველყოფის, კაპიტალურ დაბანდებათა თანამიმდევრულად ათვისების მიზნით დაწესდეს, რომ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს სამკილომეტრიან ზონაში შენობა-ნაგებობათა, აგრეთვე შავი ზღვის აუზის მდინარეებზე კაშხალების დაპროექტება და მშენებლობა განხორციელდება მხოლოდ სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „საქზღვანაპირდაცვასთან“ შეთანხმების შემდეგ, კერძოდ, ნაპირდაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში ამ ობიექტების შემკვეთთა წილობრივი მონაწილეობის განსაზღვრის შემდეგ.

12. საქართველოს სსრ სახმშენმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, ზუგდიდის, მახარაძის, ლანჩხუთის რაიონების და ქალაქ ფოთის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს სამკილომეტრიან ზონაში განლაგებული საკურორტო-გამაჯანსაღებელი ობიექტების (სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, კემპინგები, სასტუმროები, ტურისტთა ბაზები და ა. შ.), აგრეთვე უშუალოდ ზღვის ნაპირთან განლაგებული საწარმოო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და სხვა დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფა გააფორმონ მხოლოდ იმ პირობით, თუ მენაშენეები აღნიშნული ობიექტების მშენებლობის კრებსით ხარჯთაღრიცხვებში შეიტანენ შესაბამის ხარჯებს წილობრივი მონაწილეობის წესით ნაპირსამაგრებელ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებამ „საქზღვანაპირდაცვამ“ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს ნაპირსამაგრებელ ღონისძიებებში სამინისტროთა და უწყებათა წილობრივი მონაწილეობის ოდენობა.

სამინისტროებმა, უწყებებმა და სხვა ორგანიზაციებმა, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნული ობიექტების მშენებლობას, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 17 იანვრის № 40 დადგენილების მე-5 პუნქტის შესაბამისად უზრუნველყონ დადგენილი წესით შესაბამის კაპიტალურ დაბანდებათა გამოყოფა და გადაცემა (სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ლიმიტებითურთ) ნაპირსამაგრებელ სამუშაოებში წილობრივი მონაწილეობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. საქართველოს ზღვის ნაპირების დაცვის საკითხთა კომპლექსური გადაწყვეტისა და ამ საქმეში ერთიანი მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის განხორციელების მიზნით ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ და ინსტიტუტმა „კავტრანსსახპროექტმა“ ნაპირდაცვის ღონისძიებათა განხორციელება შეუთანხმონ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას „საქზღვანაპირდაცვას“.

14. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა 1980 წლის 1 დეკემბრამდე გამოყონ შესაბამისი ტერიტორიები და სადგომები ქ. გაგრაში, გუდაუთაში, ოჩამჩირეში, ფოთში, ბათუმში ხუთი რეგიონალური სანაპირო სტაციონარული სარეჟიმო სადგურის და ქ. სოხუმში, ბათუმში, ფოთში, გაგრაში ოთხი სპეციალიზებული მექანიზებული კოლონის მოსათავსებლად.

15. მიზანშეწონილად ჩაითვალოს ახლანდელ ეტაპზე სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქზღვანაპირდაცვის“ დისლოკაცია ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ორი თვის ვადაში გადაწყვიტოს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქზღვანაპირდაცვის“ ცენტრალური აპარატის, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიებისა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროს მოსათავსებლად საწარმოო ფართობების გამოყოფის საკითხი.

16. ეთხოვოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაავალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის სახმშენს:

— დააჩქარონ კომპლექსურ ნაპირსამაგრებელ ღონისძიებათა განსახორციელებლად წილობრივი მონაწილეობის წესით იმ სამინისტროთა და უწყებათა სახსრების მიზიდვის საკითხის გადაწყვეტა, რომელთა ობიექტები განლაგებულია საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს სამკილომეტრიან ზონაში;

— დაამტკიცონ ნაპირსამაგრებელ ღონისძიებებში სამინისტროთა და უწყებათა წილობრივი მონაწილეობის ოდენობის განსაზღვრის წესი, რომელიც შემუშავებულია რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ;

—დააწესონ, რომ:

სამინისტროთა და უწყებათა წილობრივი მონაწილეობა ნაპირსამაგრებელ ღონისძიებებში გავლენას არ უნდა ახდენდეს (არ უნდა ითვალისწინებდეს) ობიექტების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრაზე;

ეს ხარჯები სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებებში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ცალკე სტრიქონად: „წილობრივი მონაწილეობა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე განსახორციელებელ ნაპირსამაგრებელ ღონისძიებებში“.

17. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა 1980 წლის 1 ოქტომბრამდე შეუთანხმონ სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქზღვანაპირდაცვის“ სამეცნიერო-კვლევითი სექტორის ორგანიზაციის და სსრ კავშირის მინის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრთა საბჭოს, 1966 წლის 1 ოქტომბრის № 797 დადგენილების შესაბამისად მისთვის მუშაკთა შრომის ანაზღაურების კატეგორიის დაწესების საკითხი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 23 სექტემბერი, № 743

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

74 ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებლისათვის საინჟინრო ჯარების მარშლის ა. ვ. გელოვანის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს შუამდგომლობა და მიენიჭოს ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებელს საინჟინრო ჯარების მარშლის ა. ვ. გელოვანის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 4 სექტემბერი, № 675

75 საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. „სახელმწიფო არბიტრაჟების მიერ სამეურნეო დავის განხილვის წესებისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 5 ივნისის № 440 დადგენილების მე-2 პუნქტის შესაბამისად დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟთან შეთანხმებული დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების შესახებ და შემოღებულ იქნეს იგი სამოქმედოდ 1980 წლის 10 სექტემბრიდან.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1980 წლის 10 სექტემბრიდან „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანი-

ზაციისა და საქმიანობის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 14 მაისის № 234 დადგენილების 1-ლი, მე-2, მე-3, მე-6 პუნქტები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 8 ოქტომბრის № 707 დადგენილება „აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟების დებულების დამტკიცების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 8 ოქტომბრის № 708 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 14 მაისის № 234 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის დებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1980 წ. 8 სექტემბერი, № 681

 დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 8 სექტემბრის № 681 დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების შესახებ

1. „სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად საქართველოს სს რესპუბლიკაში მოქმედებენ:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი (საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟი), რომელიც საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური ორგანოა;

აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი (აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟი);

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი (აჭარის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟი).

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟი პასუხისმგებელია საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის ყველა ორგანოს საქმიანობის ორგანიზაციის, მდგომარეობისა და სრულყოფისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი ამოცანები ის არის, რომ:

ხელმძღვანელობა გაუწიოს სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებს რესპუბლიკაში;

უზრუნველყოს საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟების, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების არბიტრაჟების და სხვა ორგანოების მიერ კანონმდებლობის ერთგვაროვნად და სწორად გამოყენება სამეურნეო დავის გადაწყვეტისას;

შეიმუშაოს წინადადებანი და განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ სამეურნეო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების სრულყოფას.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები:

ყოველმხრივ იყენებენ სამართლებრივ საშუალებებს სახალხო მეურნეობაში სოციალისტური საკუთრების დაცვის გაძლიერების, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების, ეკონომიის რეჟიმის გაძლიერებისა და დანაკარგების აღმოფხვრის, ხელშეკრულების როლის ამაღლების, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შორის რაციონალური სამეურნეო კავშირურთიერთობისა და თანამშრომლობის განვითარების მიზნით, ამასთან ხელს უწყობენ სახალხო მეურნეობის დინამიკურ, გეგმაზომიერ და პროპორციულ განვითარებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებას, სამეურნეო საქმიანობის საბოლოო შედეგების გაუმჯობესებას;

თავიანთ მუშაობას წარმართავენ სამეურნეო დავის გადაწყვეტისას საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის, ამ დავის დროულად განხილვის უზრუნველსაყოფად, აქტიურ ზემოქმედებას ახდენენ საწარმოებზე, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებზე მათ მიერ საგეგმო დავალებათა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების, სამეურნეო საქმიანობაში კანონიერების დარღვევათა, კუთხურობისა და უწყებრიობის გამოვლინებათა თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის, სახელშეკრულებო და საპრეტენზიო მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, ახორციელებენ სხვა ამოცანებს, რომელთაც ითვალისწინებს სსრ კავშირის კანონი „სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ“.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის კონსტიტუციით, სსრ კავშირის კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებებით, საქართველოს სსრ კონსტიტუციით, საქართველოს სსრ კანონებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და დადგენილებებით, აგრეთვე ამ დებულებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟი და აჭარის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟი თავიანთ საქმიანობაში ასევე ხელმძღვანელობენ — შესაბამისად — აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კონსტიტუციებით, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კანონებით, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოსა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს და მათი პრეზიდიუმების სხვა გადაწყვეტილებებით, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, აგრეთვე საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და დადგენილებებით.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები:

შეიმუშავებენ და განახორციელებენ ღონისძიებებს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად;

გადაწყვეტენ სამეურნეო დავას დაწესებული კომპეტენციის შესაბამისად;

განახორციელებენ დადგენილი წესით ზედამხედველობას საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟების გადაწყვეტილებათა კანონიერებისადმი;

შეისწავლიან და განაზოგადებენ სამეურნეო დავის გადაწყვეტისას კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას და ამის საფუძველზე შეიმუშავებენ და დადგენილი წესით შეიტანენ წინადადებებს სამეურნეო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების, აგრეთვე სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების და სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების არბიტრაჟების საქმიანობის სრულყოფისათვის;

სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ განსაზღვრული წესით ინსტრუქტაჟს გაუწევენ — შესაბამისად — საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების არბიტრაჟებს, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სხვა ორგანოებს, რომლებიც სამეურნეო დავას წყვეტენ, ასეთი დავის განსახილველად მუშაობის ორგანიზაციისა და პრაქტიკის საკითხებზე, შეისწავლიან ამ მუშაობის გამოცდილებას და მისცემენ შესაბამის ორგანოებს რეკომენდაციებს მისი სრულყოფისათვის ზომების მისაღებად;

უზრუნველყოფენ არბიტრაჟის კადრების გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების რაც შეიძლება უკეთ გამოყენებისათვის საჭირო პირობების შექმნას, ხელმძღვანელ სამუშაოზე პოლიტიკურად მომწიფებულ და ისეთ სპეციალისტთა დაწინაურებას, რომლებმაც კარგად გამოიჩინეს თავი;

აწარმოებენ საარბიტრაჟო სტატისტიკას.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟი:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალებით გადაწყვეტს საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების მიერ სამეურნეო საქმიანობის საკითხებზე შეთანხმებათა დადებისას მათ შორის წამოჭრილ უთანხმოებას;

გამოსცემს თავისი კომპეტენციის ფარგლებში არბიტრაჟის ორგანოებისათვის, აგრეთვე სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, საწარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის სავალდებულო სამეს-ტრუქციო მითითებებს სამეურნეო დავის გადაწყვეტისა და მისი არბიტრაჟამ-დელი მოგვარებისას საქართველოს სსრ კანონმდებლობის გამოყენების საკით-ხებზე;

სისტემატურად შეამოწმებს საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების საქმიანობას, მოისმენს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრების ანგარიშებს;

შეისწავლის, განაზოგადებს და გაავრცელებს საქართველოს სსრ სახელმწი-ფო არბიტრაჟის ორგანოების მუშაობის დადებითს გამოცდილებას.

7. სამეურნეო საქმიანობაში კანონიერების, სახელმწიფო დისციპლინის დარღვევათა და ნაკლოვანებათა თავიდან აცილების მიზნით საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები:

განიხილავენ დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის სამეურნეო დავას უშუალოდ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში;

პროპაგანდას გაუწევენ სამეურნეო კანონმდებლობას;

გაეცნობიან საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სამინის-ტროებში, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებში, საწარმოებში, დაწესებუ-ლებებსა და ორგანიზაციებში ხელშეკრულებათა დადებისა და ვალდებულებათა შესრულებისას, აგრეთვე დავის არბიტრაჟამდელი მოგვარებისას კანონმდებ-ლობის გამოყენების პრაქტიკას;

შეიმუშავებენ წინადადებებს საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზა-ციათა სამეურნეო საქმიანობაში კანონიერების, სახელმწიფო დისციპლინის დარ-ღვევათა და ნაკლოვანებათა თავიდან ასაცილებლად და აღმოსაფხვრელად, აგ-რეთვე დარღვევათა და ნაკლოვანებათა მიზეზების გამოსავლენად და აღმოსა-ფხვრელად, შეიტანენ დადგენილი წესით ამ წინადადებებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სა-ქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სამინისტროების, სახელმ-წიფო კომიტეტების, უწყებების განსახილველად;

შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს სსრ ან აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სამინისტროებთან, სახელმწიფო კომიტეტებთან, უწყებებ-თან, საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან ერთად განიხილავენ იმ ღონისძიებათა შემუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომ თავიდან იქნეს აცილებული, აგრეთვე აღმოიფხვრას სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ გამოვლენილი კანონიერების დარღვევები და ნაკლოვანებანი სამეურნეო საქმიანობაში;

გაუგზავნიან დადგენილი წესით საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზა-ციებს, მათ ზემდგომ ორგანოებსა და თანამდებობის პირებს შეტყობინებებს სა-მეურნეო საქმიანობაში კანონიერების, სახელმწიფო დისციპლინის გამოვლენილ დარღვევათა და ნაკლოვანებათა შესახებ, ამასთან წინადადებას მისცემენ აღმო-ფხვრან ისინი, აგრეთვე დააკისრონ პასუხისმგებლობა დამნაშავე პირებს და აანაზღაურებინონ მათ მიყენებული მატერიალური ზარალი. საწარმოთა, დაწე-სებულებათა, ორგანიზაციათა და მათ ზემდგომ ორგანოთა ხელმძღვანელები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც ასეთ შეტყობინებას მიიღებენ, მოვალენი არიან აცნობონ სახელმწიფო არბიტრაჟს მიღებული ზომების შესახებ შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

სამეურნეო საქმიანობაში კანონიერების, სახელმწიფო დისციპლინის გამოვლენილ დარღვევათა და ნაკლოვანებათა შესახებ შეტყობინებანი საჭირო შემთხვევაში გაეგზავნებათ პროკურატურის, შინაგან საქმეთა და სხვა კომპეტენტურ ორგანოებს დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემის საკითხის განსახილველად.

საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ სამეურნეო საქმიანობაში დაშვებულ კანონიერების, სახელმწიფო დისციპლინის ყველაზე სერიოზულ დარღვევათა და ნაკლოვანებათა შესახებ, რომელთაც სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები მოახსენებენ — შესაბამისად — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები კოორდინაციას უწევენ კანონიერების დარღვევათა თავიდან აცილებისათვის თავიანთ საქმიანობას პროკურატურის, იუსტიციის, შინაგან საქმეთა, სასამართლოს, სახელმწიფო კონტროლის შესაბამისი ორგანოებისა და სხვა სახელმწიფო ორგანოების საქმიანობასთან.

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟი დაამტკიცებს:

საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების ცალკეულ სახეობათა პროდუქციის (საქართველოს სსრ სახმომარაგებასთან ერთად) და რესპუბლიკური და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოების მიერ გამოშვებული და ძირითადად საქართველოს სს რესპუბლიკაში გამოყენებული სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების განსაკუთრებულ პირობებს, თუ მოცემული სახეობის პროდუქციის ან საქონლისათვის დამტკიცებული არ არის მიწოდების განსაკუთრებული პირობები სსრ კავშირის სახმომარაგებისა და სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ;

სამეურნეო საქმიანობის რეგულირების სხვა ნორმატიულ აქტებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალებით.

9. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟი მისცემს სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს ახსნა-განმარტებებს სამეურნეო საქმიანობის რეგულირების თაობაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებათა გამოყენების შესახებ, მისი დავალებით.

10. საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალებით საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟი განიხილავს შესათანხმებლად წარდგენილ ნორმატიული აქტების პროექტებს სამეურნეო საქმიანობის რეგულირების თაობაზე, აგრეთვე მისცემს საქართველოს სსრ სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს დასკვნებს მათ მიერ შემუშავებული ასეთი ნორმატიული აქტების პროექტების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟი საჭირო შემთხვევებში გადაწყვეტილებას ცემს საქართველოს სსრ სამინისტროებთან, სახელმწიფო კომიტეტებთან და უწყებებთან ერთად ერთობლივ აქტებს შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში.

11. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებს სათავეში უდგანან — შესაბამისად — საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრი, აფხაზეთის ასსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრი, აჭარის ასსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრი.

საქართველოს სსრ მთავარ სახელმწიფო არბიტრს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

აფხაზეთის ასსრ მთავარ სახელმწიფო არბიტრს, აჭარის ასსრ მთავარ სახელმწიფო არბიტრს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს — შესაბამისად — აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭო, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟთან შეთანხმებით.

მთავარი სახელმწიფო არბიტრები პასუხისმგებელი არიან იმ ამოცანების შესრულებისათვის, რომლებიც შესაბამის არბიტრაჟებს ეკისრებათ.

12. საქართველოს სსრ მთავარ სახელმწიფო არბიტრს ჰყავს მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

13. საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟების სახელმწიფო არბიტრებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ორგანო, რომელთანაც მოქმედებს სახელმწიფო არბიტრაჟი, შესაბამისი არბიტრაჟის მთავარი სახელმწიფო არბიტრის წარდგენით. სახელმწიფო არბიტრებს შორის მოვალეობებს ანაწილებს მთავარი სახელმწიფო არბიტრი.

14. მთავარი სახელმწიფო არბიტრი კანონმდებლობის საფუძველზე და შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებებს, დაამტკიცებს სახელმწიფო არბიტრაჟის სტრუქტურულ ქვედანაყოფთა დებულებებს, დადგენილი წესით დანიშნავს თანამდებობაზე და გაათავისუფლებს თანამდებობიდან აპარატის მუშაკებს, განსაზღვრავს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას სახელმწიფო არბიტრაჟის საქმიანობის ცალკეული დარგებისათვის, ხელმძღვანელობას გაუწევს აპარატის მუშაობას, გამოიყენებს დადგენილი წესით წახალისებისა და სასჯელის ზომებს სახელმწიფო არბიტრაჟის მუშაკთა მიმართ.

საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრი გამოსცემს აგრეთვე ინსტრუქციებსა და დადგენილებებს, საერთო ხელმძღვანელობას გაუწევს მუშაობას სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებში კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის, გამოიყენებს დადგენილი წესით წახალისებისა და სასჯელის ზომებს ამ ორგანოების მუშაკთა მიმართ.

15. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟში იქმნება კოლეგია, რომლის შემადგენლობაში შედიან: საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრი (კოლეგიის თავმჯდომარე) და საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრის მოადგილე თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სახელმწიფო არბიტრაჟის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის კოლეგიის წევრებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

16. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის კოლეგია თავის რეგულარულ სხდომებზე განიხილავს საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების საქმიანობის ძირითად საკითხებს, ამ ორგანოებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საკითხებს, საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ შემუშავებული უმნიშვნელოვანესი ნორმატიული აქტების, საინსტრუქციო მითითებების, ბრძანებების, ინსტრუქციებისა და დადგენილებების პროექტებს, საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების არბიტრაჟების, სამეურნეო დავის გადამწყვეტი სხვა ორგანოების მუშაობის გამოცდილების შესწავლის შედეგებს, ისმენს საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრთა, მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მთავარ სახელმწიფო არბიტრთა ანგარიშებს.

16645

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრის ბრძანებებით. საქართველოს სსრ მთავარ სახელმწიფო არბიტრსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრი განახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ, შეუძლიათ თავიანთი აზრი აცნობონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

17. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟი დადგენილი წესით იწვევს სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებისა და საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების არბიტრაჟების მუშაკთა თათბირებს, რომლებზეც მოისმენენ მოხსენებებს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების ღონისძიებათა შესახებ, განიხილავენ სამეურნეო დავის გადაწყვეტისას მოქმედი კანონმდებლობის გამოყენების საკითხებს და არბიტრაჟების მუშაობის სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხებს.

18. არბიტრაჟის ორგანოების ორგანიზაციისა და საქმიანობის საკითხებზე მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შესამუშავებლად და სამეურნეო საქმიანობაში არბიტრაჟის მიერ გამოვლენილ კანონიერების, სახელმწიფო დისციპლინის დარღვევათა და ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟში იქმნება სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო თვალსაჩინო მეცნიერთა და სხვა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა (მათ შორის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების წარმომადგენელთა) შემადგენლობით.

სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობასა და მის დებულებას ამტკიცებს საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრი.

საჭიროების კვალობაზე სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოები შეიძლება შეიქმნას აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟებში. საბჭოს

ეროვნული ბიბ. საქ. სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემადგენლობასა და მის დებულებას დაამტკიცებს შესაბამისი მთავარი სახელმწიფო არბიტრი.

19. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის აპარატის სტრუქტურასა და მუშაკთა რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟის სტრუქტურასა და მუშაკთა რიცხოვნობას ამტკიცებს — შესაბამისად — აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭო, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟთან შეთანხმებით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟის საშტატო განრიგს ამტკიცებს შესაბამისი არბიტრაჟის მთავარი სახელმწიფო არბიტრი.

20. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟს, აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟსა და აჭარის ასსრ სახელმწიფო არბიტრაჟს აქვთ ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

76 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს საქართველოს სსრ რწმუნებულის აპარატთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს დებულებისა და აღნიშნული საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს საქართველოს სსრ რწმუნებულის აპარატთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს შესახებ.

2. დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს საქართველოს სსრ რწმუნებულის აპარატთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს თანდართული შემადგენლობა.[1]

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 8 სექტემბერი, № 683

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 8 სექტემბრის № 683
დადგენილებით

დებულება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს საქართველოს სსრ რწმუნებულის აპარატთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს შესახებ

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს საქართველოს სსრ რწმუნებულის აპარატთან საკონსულტაციო საბჭო შექმნილია რესპუბლიკაში რელიგიური ვითარების, რელიგიურ ორგანიზაციებში მიმდინარე პროცესებისა და ტენდენციების უფრო ღრმად შესწავლის, რელიგიური კულტების შესახებ კანონმდებლობის დაცვისათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის საკითხებისადმი კომპლექსური მიდგომის და საჭირო რეკომენდაციების გამომუშავების მიზნით.

2. საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობაში შედიან რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების წარმომადგენლები, რომლებთან კონტაქტით შესაძლებელია ოპერატიულად იქნეს განხილული რელიგიასთან და ეკლესიასთან დაკავშირებული საკითხები.

საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

3. საკონსულტაციო საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საქართველოს სსრ კონსტიტუციით, სსრ კავშირის კანონებითა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებებით, საქართველოს სსრ კანონებითა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 16 მარტის ბრძანებულებით დამტკიცებული დებულებით საქართველოს სს რესპუბლიკაში რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ, სხვა ნორმატიული აქტებით რელიგიების საკითხებზე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს დადგენილებებითა და განმარტებებით, საბჭოსი, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს რელიგიური კულტების შესახებ კანონმდებლობის დაცვისადმი, აგრეთვე ამ დებულებით.

საბჭო განიხილავს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე რელიგიური კულტების შესახებ კანონმდებლობის სწორად გამოყენებისადმი ჯეროვანი კონტროლის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს და შეიმუშავებს ამისათვის საჭირო რეკომენდაციებს.

4. საბჭოს, რომელიც საკონსულტაციო ორგანოა, არ გამოაქვს არავითარი გადაწყვეტილებანი, არამედ შეიმუშავებს რეკომენდაციებს განსახილველად და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყენებულ თითოეულ საკითხზე, სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ კანონის შესრულებისადმი უფრო მიზანდასახული, ორგანიზებული და ქმედითი კონტროლის განსახორციელებლად.

5. საკონსულტაციო საბჭოს სხდომები გაიმართება კვარტალში ერთხელ მაინც.

საკონსულტაციო საბჭოს ძირითადი ამოცანა რელიგიური კულტების შესახებ კანონმდებლობის დაცვისადმი კონტროლისა და ამ სამუშაოს კოორდინაციის დარგში ის არის, რომ ხელი შეუწყოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საქართველოს სსრ აპარატს, რათა:

ა) უზრუნველყოს სსრ კავშირის კონსტიტუციით საბჭოთა სახელმწიფოს მოქალაქეთათვის გარანტირებული სინდისის თავისუფლება, ანუ უფლება—სწამდეთ ნებისმიერი რელიგია ან არ სწამდეთ არავითარი რელიგია, ასრულებდნენ რელიგიურ კულტებს ან ეწეოდნენ ათეისტურ პროპაგანდას;

ბ) განახორციელოს კონტროლი რელიგიური ორგანიზაციებისა და სამღვდელოების საქმიანობისადმი, აგრეთვე საბჭოთა ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მიერ რელიგიური კულტების შესახებ კანონმდებლობის გამოყენებისა და შესრულებისადმი;

გ) შეისწავლოს და განაზოგადოს კულტების შესახებ კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკა, მისი დაცვისადმი კონტროლის განხორციელების ფორმები და მეთოდები, დაშვებულ დარღვევათა და იმ ღონისძიებათა ხასიათი, რომლებიც ხორციელდება მათ აღმოსაფხვრელად და თავიდან ასაცილებლად.

6. საკონსულტაციო საბჭო მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) განიხილავს რესპუბლიკაში რელიგიური ვითარების დამახასიათებელ მასალებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს საქართველოს სსრ რწმუნებულის მოხსენების მიხედვით, ამასთან შესაბამისად გააანალიზებს ცალკეულ ტენდენციებსა და პროცესებს, მისცემს კონსულტაციებს და შეიმუშავებს საჭირო პრაქტიკულ წინადადებებს;

ბ) მოისმენს სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომებთან არსებული რელიგიური კულტების შესახებ კანონმდებლობის დაცვისადმი კონტროლის ხელშემწყობი კომისიების ინფორმაციებს მათი საქმიანობის შესახებ და გაუწევს მათ საჭირო დახმარებას;

გ) განიხილავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს საქართველოს სსრ რწმუნებულის მიერ დაყენებულ საკითხებს საკონსულტაციო საბჭოს წევრებთან მოქმედების კოორდინაციის წესით, მათ შორის:

— რელიგიური კულტების შესახებ კანონმდებლობის დაცვისადმი კონტროლის ორგანიზაციის ფორმებისა და მეთოდების და ამ საკითხებზე ადგილობრივი საბჭოთა ორგანოებისათვის (სახალხო დეპუტატთა სასოფლო, სადაბო საბჭოები, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები) კონკრეტული რეკომენდაციების მომზადების თაობაზე, რომლებსაც კანონის შესაბამისად უშუალოდ ეკისრებათ ეს კონტროლი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საქართველოს სს რესპუბლიკაში რელიგიურ გაერთიანებათა მოქმედი დებულების შესაბამისად რელიგიურ გაერთიანებათა ქსელის მდგომარეობისა და მისი მოწესრიგების კონკრეტულ ღონისძიებათა შესახებ;

— იმ სალოცავი შენობებისა და საკულტო ქონების მდგომარეობის შესახებ, რომლებიც ხალხის კუთვნილებას — ისტორიისა და კულტურის ძეგლებს წარმოადგენენ, და ამ საკითხებზე მოქმედი კანონმდებლობის, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა მოთხოვნების შესრულების შესახებ;

— რელიგიასთან და ეკლესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომებში წერილების, საჩივრებისა და განცხადებების განხილვის მდგომარეობის და მათ მიერ ამ საკითხებზე მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების შესახებ;

— ადგილებზე რელიგიური კულტების შესახებ საბჭოთა კანონმდებლობის განმარტებისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართლებრივი პროპაგანდის როლის ამაღლების შესახებ;

— საჭიროების კვალობაზე განიხილავს აგრეთვე სხვა საკითხებს, რომლებიც საკონსულტაციო საბჭოს გამგებლობას განეკუთვნება.

7. საკონსულტაციო საბჭოს მუშაობა ხორციელდება საბჭოს სხდომაზე მოწონებული და დამტკიცებული გეგმის მიხედვით; საბჭოს თითოეულ წევრს ეკისრება შეისწავლოს და მოამზადოს შესაბამისი საკითხები იმ ორგანოს, ორგანიზაციის, დაწესებულების მიხედვით, რომელსაც იგი წარმოადგენს.

8. საკონსულტაციო საბჭოს სხდომათა ოქმები წარედგინებათ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო საჭირო შემთხვევებში ოქმების ამონაწერები გაეგზავნებათ შესაბამის ორგანოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს.

9. საკონსულტაციო საბჭო, განსახილველ საკითხთა არსის გათვალისწინებით, წარუდგენს შესაბამის წინადადებებს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

77 მ. ჯავახიშვილის იუბილეესთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს გამოჩენილი ქართველი საბჭოთა მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავის ჩამტარებელი საიუბილეო კომისიის წინადადება და მწერლის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით:

1. დაიდგას მ. ჯავახიშვილის ძეგლი ქალაქ თბილისში და ბიუსტი მწერლის მშობლიურ მარნეულის რაიონში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ გახსნას სოფელ სიონში მწერლის სახელობის ბიბლიოთეკა და მოაწყოს ბიბლიოთეკასთან მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ექსპოზიცია.

3. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა გამოსცეს მ. ჯავახიშვილის რჩეულ ნაწარმოებთა ხუთტომეული.

4. თბილისის 124-ე სკოლას მიეკუთვნოს მ. ჯავახიშვილის სახელი.

5. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ დააარსოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მ. ჯავახიშვილის სახელობის ერთი სტიპენდია უნივერსიტეტის სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი. 1980 წ. 9 სექტემბერი, № 688

78 „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში საწარმოო გაერთიანებათა შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 24 ივნისის № 470 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის წინადადება, შეთანხმებული რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, და საგამომცემლო-პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება „განათლება“ გაუქმდეს 1980 წლის 1 ოქტომბრიდან. აღნიშნულ გაერთიანებაში შემავალი გამომცემლობა „განათლება“ და ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი ჩაითვალონ საქართველოს სსრ გამსახკომისადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ ორგანიზაციებად.

გამომცემლობა „განათლებამ“ თავისი საწარმოო-საფინანსო საქმიანობა განახორციელოს სსრ კავშირის გამსახკომის 1968 წლის 19 სექტემბრის № 375

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებით დამტკიცებული სოციალისტური სახელმწიფო გამომცემლობის დებულების შესაბამისად.

საქართველოს სსრ გამსახკომის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატმა თავისი საწარმოო-საფინანსო საქმიანობა განახორციელოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 731 დადგენილებით დამტკიცებული სოციალისტური სახელმწიფო სამრეწველო საწარმოს დებულების შესაბამისად.

ამასთან დაკავშირებით გაუქმდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 24 ივნისის № 470 დადგენილების დანართის პირველი პუნქტი.

2. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა შეიმუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი და უმოკლეს ვადაში აღმოფხვრას გამომცემლობა „განათლებასა“ და ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 12 სექტემბერი, № 695

79 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 14 ივლისის № 454 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

„რესპუბლიკაში ფოტომხატვრული და პოლიგრაფიული სამხატვრო პროდუქციის წარმოების გაფართოებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების ზომების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 14 ივლისის № 454 დადგენილების მესამე პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„როგორც გამონაკლისი, ნება დაერთოს საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს აწარმოოს ფოტოპროდუქცია საუწყებო სასწავლებლებში თვალსაჩინო აგიტაციის სტენდებისა და ახალგაზრდა მუშათა კადრების პროფორიენტაციის მიზნით ფოტოგამოფენების მოსაწყობად“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 19 სექტემბერი, № 704

80 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს შესახებ და რესპუბლიკის სახელმწიფო არქივების ქსელი.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა მთავარმა საარქივო სამმართველომ, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა და საწარმოებმა საარქივო საქმესთან დაკავშირებულ თავიანთ მუშაობაში იხელმძღვანელონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 4 აპრილის № 274 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით სსრ კავშირის სახელმწიფო საარქივო ფონდის შესახებ.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა მთავარმა საარქივო სამმართველომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა მიიღონ ზომები სსრ კავშირის სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვისადმი კონტროლის გასაძლიერებლად და უზრუნველყონ აუცილებელი პირობების შექმნა ამ დოკუმენტების დაცვისა და გამოყენებისათვის.

4. დაევალოთ სამინისტროებსა და უწყებებს მიიღონ ზომები საუწყებო არქივების მუშაობის სრულყოფისათვის, მათი სპეციალური სადგომებით, მოწყობილობით უზრუნველყოფისათვის, კვალიფიციური კადრებით განმტკიცებისათვის, აგრეთვე საქმისწარმოების გაუმჯობესებისათვის.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა მთავარმა საარქივო სამმართველომ გააძლიეროს ორგანიზაციულ-მეთოდური ხელმძღვანელობა საუწყებო არქივებისა და საქმისწარმოების წარმართვის დარგში მუშაობისადმი და გაუწიოს დახმარება სამინისტროებსა და უწყებებს შესაბამის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებაში.

6. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 28 ოქტომბრის № 676 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ზ. პატარიძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

ქ. თბილისი, 1980 წ. 29 სექტემბერი. № 717

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 29 სექტემბრის № 717
დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველო (საქმთავარარქივი) არის სახელმწიფო მმართველობის საკავშირო-რესპუბლიკური ორგანო და თავის საქმიანობაში ექვემდებარება როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ისევე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავარ საარქივო სამმართველოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველო ახორციელებს რესპუბლიკაში საარქივო საქმის დარგობრივ და სადარგთაშორისო მართვას, განაგებს სსრ კავშირის სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტებს, რომლებიც დაცულია საქართველოს სსრ სახელმწიფო და საუწყებო არქივებში, და პასუხისმგებელია საქართველოს სს რესპუბლიკაში საარქივო საქმის მდგომარეობის, შემდგომი განვითარების, სრულყოფისა და ამ დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის.

„ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველო თავისი კომპეტენციის ფარგლებში არის დოკუმენტურ ძეგლთა დაცვის სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო საქართველოს სს რესპუბლიკაში.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს მთავარი ამოცანებია:

სსრ კავშირის სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფა, სახელმწიფო არქივების დაკომპლექტებისა და მათში დაცული დოკუმენტების გამოყენების ორგანიზაცია სსრ კავშირის სახელმწიფო საარქივო ფონდის დებულების შესაბამისად;

სახელმწიფო მართვა ისტორიისა და კულტურის დოკუმენტურ ძეგლთა დაცვისა და გამოყენების დარგში;

არქივთმცოდნეობის, დოკუმენტმცოდნეობის, არქეოგრაფიის დარგში სამეცნიერო და მეთოდური მუშაობის ორგანიზაცია და კოორდინაცია; მეცნიერულ გამოკვლევათა შედეგებისა და მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა დანერგვა რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებათა მუშაობის პრაქტიკაში;

ორგანიზაციულ-მეთოდური ხელმძღვანელობა საუწყებო არქივების საქმიანობისა და სამინისტროთა, უწყებათა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა საქმისწარმოებაში დოკუმენტების ორგანიზაციისადმი;

საარქივო საქმის დარგში მოწინავე სამამულო და საზღვარგარეთული გამოცდილების გავრცელება, საარქივო საქმის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის წინადადებათა შემუშავება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველო ხელმძღვანელობს რესპუბლიკაში საარქივო საქმეს უშუალოდ ან აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან არსებული და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საარქივო სამმართველოების მეშვეობით და მართავს მას საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივების, საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფილიალების, საქალაქო და რაიონული სახელმწიფო არქივების საშუალებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან არსებული, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საარქივო სამმართველოები და მათი საქვეუწყებო სახელმწიფო არქივები სსრ კავშირის სახელმწიფო საარქივო სამსახურის შემადგენელი ნაწილია და შედიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს ერთიან სისტემაში.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის სახელმწიფო საარქივო ფონდის დებულებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს ბრძანებებითა და ინსტრუქციებით, სხვა ნორმატიული აქტებით და ამ დებულებით, უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორ დ გამოყენებას რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველო განაზოგადებს კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე, შეიმუშავებს წინადადებებს კანონმდებლობის სრულყოფისათვის და დადგენილი წესით წარუდგენს მათ განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველო მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) აორგანიზებს სსრ კავშირის სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტების დაკომპლექტებასა და შენახვას, უზრუნველყოფს სახელმწიფო არქივებში, აგრეთვე მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში დოკუმენტების გადაცემის დადგენილი წესის დაცვას;

ბ) წყვეტს რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის საარქივო ფონდების შემადგენლობისადმი დოკუმენტების მიკუთვნების საკითხებს და ახორციელებს ღონისძიებებს რესპუბლიკის ცენტრალურ სახელმწიფო არქივებში რესპუბლიკური მნიშვნელობის ფონდების კონცენტრაციისათვის;

გ) აწარმოებს საქართველოს სსრ სახელმწიფო და საუწყებო არქივებში დაცული სსრ კავშირის სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტების, საზოგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოებრივ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა საკუთრებაში არსებული ისტორიისა და კულტურის დოკუმენტური ძეგლების სახელმწიფო აღრიცხვას და წარუდგენს ცნობებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავარ საარქივო სამმართველოს; განახორციელებს სახელმწიფო კონტროლს აღნიშნული დოკუმენტების დაცვისა და გამოყენებისადმი;

დ) შეიმუშავებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ნორმატიულ დოკუმენტებს საარქივო დაწესებულებათა საქმიანობის საკითხებზე, აორგანიზებს და ახორციელებს მუშაობას სახელმწიფო არქივების ქსელისა და მათი სტრუქტურის სრულყოფისათვის;

ე) აორგანიზებს არქივების მუშაობის პრაქტიკაში დოკუმენტების შენახვის, რესტავრაციის, კონსერვაციის, გამოყენებისა და დაცვის ყველაზე რაციონალური სისტემებისა და მეთოდების დანერგვას, განსაზღვრავს რესპუბლიკის სახელმწიფო არქივების მოთხოვნილებას მოწყობილობასა და მასალებზე;

ვ) ახორციელებს ორგანიზაციულ-მეთოდურ ხელმძღვანელობას საუწყებო არქივების მუშაობისა და სამინისტროთა, უწყებათა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა საქმისწარმოებაში დოკუმენტების ორგანიზაციისადმი; საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ატარებს საუწყებო არქივების მუშაობის სრულყოფის ღონისძიებებს, აგრეთვე საქმისწარმოებისა და ასეთი არქივების საქმიანობის მდგომარეობის საზოგადოებრივ დათვალიერებებს; აორგანიზებს სახელშეკრულებო საწყისებზე საუწყებო არქივებისადმი დახმარებას დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფის, მოწესრიგებისა და გამოყენების სამუშაოთა შესრულებაში, აგრეთვე დოკუმენტების ასლების სადაზღვევო ფონდის შექმნაში;

ზ) უზრუნველყოფს სამეცნიერო-საცნობარო აპარატის სისტემის შექმნასა და განვითარებას, სსრ კავშირის სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტების მიხედვით ინფორმაციის ძიების მექანიზებულ და ავტომატიზებულ სისტემათა დანერგვას;

თ) დადგენილი წესით აქვეყნებს სსრ კავშირის სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტებს, საცნობარო-საინფორმაციო ლიტერატურას საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივებში დაცული სსრ კავშირის სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტების შემადგენლობისა და შინაარსის შესახებ, გამოსცემს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს გამგებლობისადმი მიკუთვნებულ საკითხებზე სამეცნიერო ჟურნალებს, ბიულეტენებს, სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურას, სასწავლო და პრაქტიკულ სახელმძღვანელოებს; ხელმძღვანელობას უწევს რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებათა საქმიანობას საარქივო მასალების გამოქვეყნებაში;

ი) აორგანიზებს ინფორმაციას სსრ კავშირის სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტების შესახებ აქტუალურ თემატიკაზე პოლიტიკური, სახალხო სამეურნეო, სამეცნიერო და სოციალურ-კულტურული მიზნებისათვის გამოსაყენებლად; კოორდინაციას უწევს მუშაობას რეტროსპექტულ დოკუმენტურ ინფორმაციაზე საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა და დოკუმენტების გამოყენების ეფექტიანობის შესასწავლად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ) ხელმძღვანელობს რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებათა სამეცნიერო-კვლევით და მეთოდურ მუშაობას; შეიმუშავებს ღონისძიებებს საარქივო საქმის პრაქტიკაში მეცნიერულ გამოკვლევათა შედეგების დანერგვისათვის; ახორციელებს სამეცნიერო-ტექნიკურ ინფორმაციას აღნიშნულ საკითხებზე;

ლ) აორგანიზებს საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად საქმისწარმოების ერთიანი სახელმწიფო სისტემისა და საორგანიზაციო-განმკარგულებელი დოკუმენტაციის უნიფიცირებული სისტემის დანერგვას; ახორციელებს სამეცნიერო-მეთოდურ ხელმძღვანელობას მათი გამოყენებისადმი;

მ) ამოწმებს საუწყებო არქივების მუშაობას და დოკუმენტების ორგანიზაციას რესპუბლიკის სამინისტროთა, უწყებათა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა საქმისწარმოებაში;

ნ) შეიმუშავებს და გამოსცემს თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამინისტროების, უწყებების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ აუცილებლად შესასრულებელ ინსტრუქციებსა და მეთოდიკურ სახელმძღვანელოებს საარქივო საქმისა და საქმისწარმოებაში დოკუმენტების ორგანიზაციის საკითხებზე;

ო) აორგანიზებს დოკუმენტების მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობის ექსპერტიზას საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივებში მათი მუდმივ შესანახად შერჩევის მიზნით, ამტკიცებს დადგენილი წესით რესპუბლიკის სამინისტროთა, უწყებათა, მათ საქვეუწყებო საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა დოკუმენტების ნუსხებს შენახვის ვადებით;

პ) დადგენილი წესით გამოავლენს და მიიღებს სსრ კავშირის სახელმწიფო არქივებისაგან და საზღვარგარეთიდან საქართველოს ისტორიაზე საარქივო დოკუმენტების დედნებს ან ასლებს; აორგანიზებს საზღვარგარეთის საარქივო დაწესებულებებთან დოკუმენტების ასლებისა და არქივთმცოდნეობითი ლიტერატურის გაცვლას, აგრეთვე მონაწილეობს არქივების საერთაშორისო ორგანიზაციათა საქმიანობაში;

ჟ) მისცემს დადგენილი წესით დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს სპეციალურ ნებართვას რესპუბლიკის ტერიტორიაზე დოკუმენტური ძეგლების შესაკრებად;

რ) შეიმუშავებს პერსპექტიულ და მიმდინარე გეგმებს რესპუბლიკაში საარქივო საქმის განვითარების საკითხებზე და უზრუნველყოფს ამ გეგმების შესრულებას;

ს) შეიმუშავებს საქართველოს სსრ საარქივო დაწესებულებებში შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხებს, ახორციელებს ცენტრალური აპარატისა და საქვეუწყებო დაწესებულებათა სტრუქტურის სრულყოფის ღონისძიებებს;

ტ) ამტკიცებს საქვეუწყებო დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვებს, დადგენილი წესით ახორციელებს საარქივო დაწესებულებათა დაფინანსებასა და მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას, უზრუნველყოფს მათი შენახვისათვის გამოყოფილი სახსრების რაც შეიძლება სწორად და ეფექტიანად გამოყენებას, აკონტროლებს მათს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას;

უ) წყვეტს თავისი კომპეტენციის ფარგლებში კაპიტალური მშენებლობის საკითხებს;

ფ) ამტკიცებს რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებათა მიერ მომსახურების ტარიფებს საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებული ნუსხის მიხედვით;

ქ) შეისწავლის, განაზოგადებს და გაავრცელებს სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების არქივების მუშაობის მოწინავე გამოცდილებას, მოიწვევს დადგენილი წესით სამეცნიერო, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, თათბირებს, სემინარებს, აწყობს და ატარებს გამოფენებს საარქივო საქმისა და საქმისწარმოებაში დოკუმენტების ორგანიზაციის საკითხებზე;

ღ) ახორციელებს ცენტრალური აპარატისა და საქვეუწყებო დაწესებულებათა კადრების შერჩევასა და განაწილებას;

ყ) აორგანიზებს საქართველოს სსრ საარქივო დაწესებულებებისა და საუწყებო არქივების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას;

შ) აორგანიზებს მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების დროულად და ყურადღებით განხილვას, ამასთან ცდილობს მიაღწიოს მათში აღძრული საკითხების სწორად გადაწყვეტას; იღებს ზომებს საქვეუწყებო დაწესებულებათა საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავარ საარქივო სამმართველოს მის წინაშე დასახული ამოცანების გადასაწყვეტად და მისთვის დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად უფლება ენიჭება:

ა) მიიღოს სამინისტროებისაგან, უწყებებისაგან, დაწესებულებებისაგან, ორგანიზაციებისა და საწარმოებისაგან აუცილებელი მასალები საუწყებო არქივების მუშაობისა და საქმისწარმოებაში დოკუმენტების ორგანიზაციის შესახებ;

ბ) მოისმინოს სამინისტროების, უწყებების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების წარმომადგენელთა ინფორმაციები საუწყებო არქივების მუშაობისა და საქმისწარმოებაში დოკუმენტების ორგანიზაციის საკითხებზე;

გ) მისცეს სამინისტროებს, უწყებებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და საწარმოებს შესასრულებლად სავალდებულო მითითებანი საუწყებო არქივების მუშაობაში და საქმისწარმოებაში დოკუმენტების ორგანიზაციაში გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

დ) შექმნას მუდმივი და დროებითი საუწყებათაშორისო კომისიები და საბჭოები საარქივო საქმისა და საქმისწარმოებაში დოკუმენტების ორგანიზაციის საკითხების განსახილველად;

ე) მოაწყოს კონკურსები საარქივო საქმისა და საქმისწარმოების დარგში სამუშაოთა საუკეთესოდ შესრულებისათვის; დაამტკიცოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად კონკურსების პირობები.

საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა მიერ შემუშავებული სასწავლო პროგრამები საარქივო საქმისა და საქმისწარმოებაში დოკუმენტების ორგანიზაციის საკითხებზე მტკიცდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავარ საარქივო სამმართველოსთან შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს თანამდებობის პირებს თავიანთ მოვალეობათა შესასრულებლად უფლება აქვთ დადგენილი წესით ნახონ სამინისტროთა, უწყებათა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა არქივებისა და საქმისწარმოების სამსახურები.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავარ საარქივო სამმართველოს სათავეში უდგას უფროსი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს უფროსსა და მის მოადგილეს ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს უფროსი:

ა) პერსონალურად აგებს პასუხს მთავარი საარქივო სამმართველოსათვის დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებისათვის, აწესებს უფროსის მოადგილის, განყოფილებათა და სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფთა უფროსების პასუხისმგებლობას მთავარი საარქივო სამმართველოს საქმიანობის ცალკეული დარგების ხელმძღვანელობისათვის, აგრეთვე რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებათა მუშაობისათვის;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს საგანმკარგულებლო დოკუმენტების საფუძველზე და შესასრულებლად, იძლევა რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებათა მიერ შესრულებისათვის სავალდებულო მითითებებს, ამოწმებს მათს შესრულებას;

გ) საჭირო შემთხვევებში გამოსცემს საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებთან ერთად ერთობლივ ბრძანებებს, დადგენილებებსა და ინსტრუქციებს;

დ) აუქმებს რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებების ხელმძღვანელთა მიერ გამოცემულ იმ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავარ საარქივო სამმართველოში იქმნება კოლეგია, რომლის შემადგენლობაში შედიან: სამმართველოს უფროსი (კოლეგიის თავმჯდომარე), მისი მოადგილე და მთავარი საარქივო სამმართველოს ხელმძღვანელი მუშაკები. კოლეგიის შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნენ დაინტერესებულ დაწესებულებათა წარმომადგენლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს კოლეგიის წევრებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს კოლეგია თავის რეგულარულად მოწვეულ სხდომებზე განიხილავს საქართველოს სს რესპუბლიკაში საარქივო საქმის განვითარების, სახელმწიფო არქივების ორგანიზაციისა და საქმიანობის, საუწყებო არქივების მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს; განიხილავს შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევის, გამოყენებისა და აღზრდის საკითხებს, უმნიშვნელოვანეს ბრძანებათა, ინსტრუქციათა და მითითებათა პროექტებს, მოისმენს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან არსებული, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საარქივო სამმართველოების ხელმძღვანელთა მოხსენებებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს სტრუქტურულ ქვედანაყოფთა, რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებათა ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი განხორციელდება, როგორც წესი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს უფროსის ბრძანებებით. უფროსსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში უფროსი განახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავარ საარქივო სამმართველოსთან მოქმედებენ:

სამეცნიერო საბჭო რესპუბლიკაში საარქივო საქმის სამეცნიერო-მეთოდიკური საკითხების განსახილველად;

ცენტრალური საექსპერტო-შემმოწმებელი კომისია სსრ კავშირის სახელმწიფო საარქივო ფონდის შემადგენლობის განსაზღვრასთან, დოკუმენტების მნიშვნელობის ექსპერტიზასთან და სახელმწიფო შენახვისათვის მათ შერჩევასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

საუწყებათაშორისო სამეცნიერო-მეთოდური საბჭო სახელმწიფოს საკუთრებაში დოკუმენტების შესაძენად.

აღნიშნული საბჭოებისა და კომისიის დებულებებსა და შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს უფროსი.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და მუშაკთა რიცხოვნობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავარ საარქივო სამმართველოსთან შეთანხმებით.

№ 5
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგსა და მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთა დებულებებს ამტკიცებს მთავარი საარქივო სამმართველოს უფროსი.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავარ საარქივო სამმართველოს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 29 სექტემბრის № 717
დადგენილებით

ჭ ს ე ლ ი
საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივებისა*

საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივები

1. საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივი

(ქ. თბილისი)

2. საქართველოს სსრ სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციის ცენტრალური სახელმწიფო არქივი

(ქ. თბილისი)

3. საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი

(ქ. თბილისი)

4. საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი

(ქ. თბილისი)

5. საქართველოს სსრ კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივი

(ქ. თბილისი)

6. ქ. ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი

---

* ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის სახელმწიფო არქივების გარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფილიალები

1. საქართველოससრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ქალაქ ამბროლაურის ფილიალი.
2. საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ქალაქ ახალქალაქის ფილიალი.
3. საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ქალაქ ახალციხის ფილიალი
4. საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ქალაქ ბოლნისის ფილიალი
5. საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ქალაქ გორის ფილიალი
6. საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ქალაქ გურჯაანის ფილიალი
7. საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ქალაქ დუშეთის ფილიალი
8. საქართველოს სსრ ოლქომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ქალაქ ზესტაფონის ფილიალი
9. საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ქალაქ ზუგდიდის ფილიალი
10. საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ქალაქ მახარაძის ფილიალი
11. საქართველოს სსრ ოქტომბდის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ქალაქ სიღნაღის ფილიალი
13. საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ქალაქ ხაშურის ფილიალი
13. საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ქალაქ ხაშურის ფილიალი
14. საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ქალაქ ცხაკაიას ფილიალი

საქალაქო სახელმწიფო არქივები

1. ქალაქ თბილისის სახელმწიფო არქივი
2. ქალაქ რუსთავის სახელმწიფო არქივი
3. ქალაქ ფოთის სახელმწიფო არქივი
4. ქალაქ ჭიათურის სახელმწიფო არქივი
5. ტყიბულის ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო საქალაქო არქივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. წყალტუბოს ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო ქალაქო არქივი

რაიონული სახელმწიფო არქივები

1. აბაშის ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო რაიონული არქივი
2. ადიგენის ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო რაიონული არქივი
3. ასპინძის ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო რაიონული არქივი
4. ახმეტის ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო რაიონული არქივი
5. ბოგდანოვკის ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო რაიონული არქივი
6. ბორჯომის ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო რაიონული არქივი
7. ვანის ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო რაიონული არქივი
8. გარდაბნის ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო რაიონული არქივი
9. გეგეჭკორის ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო რაიონული არქივი
10. დმანისის ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო რაიონული არქივი.
11. ყაზბეგის ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო რაიონული არქივი
12. ქარელის ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო რაიონული არქივი
13. კასპის ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო რაიონული არქივი
14. ყვარლის ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო რაიონული არქივი
15. ლაგოდეხის ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო რაიონული არქივი
16. ლანჩხუთის ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო რაიონული არქივი
17. ლენტეხის ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო რაიონული არქივი
18. მარნეულის ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო რაიონული არქივი
19. მაიაკოვსკის ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო რაიონული არქივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. მესტიის ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო რაიონული არქივი
21. მცხეთის ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო რაიონული არქივი
22. ონის ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო რაიონული არქივი
23. ორჯონიკიძის ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო რაიონული არქივი
24. საგარეჯოს ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო რაიონული არქივი
25. სამტრედიის ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო რაიონული არქივი
26. საჩხერის ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო რაიონული არქივი
27. თერჯოლის ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო რაიონული არქივი.
28. თეთრი წყაროს ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო რაიონული არქივი
29. თიანეთის ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო რაიონული არქივი
30. ხობის ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო რაიონული არქივი
31. ცაგერის ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო რაიონული არქივი
32. წალენჯიხის ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო რაიონული არქივი
33. წალკის ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო რაიონული არქივი
34. წითელწყაროს ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო რაიონული არქივი
35. წულუკიძის ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო რაიონული არქივი
36. ჩოხატაურის ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო რაიონული არქივი
37. ჩხოროწყუს ცვალებადი შემადგენლობის დოკუმენტების სახელმწიფო რაიონული არქივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

81 ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გონივრულად გამოყენების დარგში თვალსაჩინო ნამუშევრებისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის თეოფანე ფარნას ძე დავითაიას სახელობის პრემიის მინიჭების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი დებულება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის თეოფანე ფარნას ძე დავითაიას სახელობის პრემიის მინიჭების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 30 სექტემბერი, № 727

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 30 სექტემბრის № 727
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გონივრულად გამოყენების დარგში თვალსაჩინო ნამუშევრებისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის თეოფანე ფარნას ძე დავითაიას სახელობის პრემიის მინიჭების შესახებ

1. აკადემიკოს თ. დავითაიას სახელობის პრემია 1000 მანეთის ოდენობით დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 3 ივნისის № 468 დადგენილებით და მიენიჭება ორ წელიწადში ერთხელ საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომისათვის ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების დარგში.

პრემიის მინიჭება ხდება ბუნების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით — 5 ივნისს

2. საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობა კონკურსის გამოცხადების დღემდე ექვსი თვით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადრე რესპუბლიკურ პრესაში აქვეყნებენ სათანადო განცხადებას, ხოლო საკონკურსო ნაშრომები უნდა წარმოადგინონ ერთი თვის განმავლობაში კონკურსის გამოცხადების დღიდან.

3. პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ცალკეულ ავტორთა, ან ავტორთა კოლექტივების (არა უმეტეს 3-5 კაცისა) ნაშრომები.

პრემიის გაყოფა ორ ან მეტ მაძიებელს შორის სხვადასხვა ნაშრომისათვის არ შეიძლება.

4. პრემია მიენიჭებათ მეცნიერებს, რომლებმაც ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხებზე შექმნეს ფუნდამენტური ნაშრომები და ამ ნაშრომებს მეცნიერულ მნიშვნელობასთან ერთად აქვთ პრაქტიკული ღირებულებაც; აგრეთვე იმ პირებს, რომლებმაც განახორციელეს ნაყოფიერი პრაქტიკული ღონისძიებანი გეოგრაფიული გარემოს გეგმაზომიერი და გონივრული გარდაქმნის მიზნით. განსაკუთრებულ შემთხვევაში პრემია მიეცემათ ბუნების იმ ქომაგებს, რომლებიც დიდად სასარგებლო პრაქტიკულ საქმიანობას ეწევიან.

ნაშრომები, რომელთაც მინიჭებული აქვთ სხვა პრემიები, კონკურსზე არ დაიშვება.

5. საკონკურსოდ შეიძლება წარმოდგენილ იქნეს წინა სამი წლის განმავლობაში შესრულებული ნაშრომები.

6. თ. დავითაიას სახელობის პრემია გაიცემა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის სახსრებიდან.

7. პრემიის მოსაპოვებლად ნაშრომების წარმოდგენა ხდება სამინისტროების, უწყებების, დაწესებულებების, ბუნების დაცვის სამსახურების, სამეცნიერო, საპროექტო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების სათანადო რეკომენდაციებით.

8. პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ უნდა იქნეს დასაბუთებული წარდგინება, რომელიც შეიცავს ნაშრომის მეცნიერულ დახასიათებას და განმარტავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საქმისათვის, სამეცნიერო ნაშრომი სამ ცალად, მონაცემები ავტორის შესახებ, კოლექტიური შრომის თითოეული თანაავტორის მონაწილეობის დახასიათება.

9. საკონკურსოდ შემოსული ყველა ნაშრომის შეფასებას იძლევა და პრემიის მისანიჭებლად კანდიდატებს რეკომენდაციას უწევს საექსპერტო კომისია 9 კაცის შემადგენლობით, რომელიც ყოველი კონკურსისათვის (მარტში) იქმნება საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის ერთობლივი ბრძანებით.

კომისიის შემადგენლობაში უნდა იყვნენ გამოჩენილი მეცნიერები და სხვადასხვა უწყებათა პრაქტიკოსი სპეციალისტები, რომლებიც თავიანთი საქმიანობით მჭიდროდ არიან დაკავშირებული ბუნების დაცვისა და ბუნებრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესურსების რაციონალურად გამოყენების პრობლემებთან. საექსპერტო კომისიის წევრებად არ შეიძლება იმ პირების დანიშვნა, რომელთაც პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილი აქვთ თავიანთი ნაშრომები.

10. საექსპერტო კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა ორი მესამედი მაინც.

საექსპერტო კომისია გადაწყვეტილებას რეკომენდაციის შესახებ იღებს ფარული კენჭისყრით.

გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმა მისცა კომისიის შემადგენლობის უბრალო უმრავლესობამ.

11. საექსპერტო კომისია მისი დამტკიცებიდან ერთი თვის განმავლობაში საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების პრეზიდიუმის გაერთიანებულ სხდომას წარუდგენს სათანადო მასალას კონკურსის ჩატარების თაობაზე.

12. საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომა ერთი თვის განმავლობაში მოისმენს საექსპერტო კომისიის რეკომენდაციას და კენჭს უყრის პრემიის მოსაპოვებლად შემოსულ ყველა ნაშრომს. განხილვაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს. განცხადება გაერთიანებული სხდომის მოწვევის შესახებ, რომელზეც განხილული იქნება საპრემიო შრომები, ქვეყნდება პრესაში.

13. გაერთიანებული სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პრემიის მინიჭების შესახებ, თუ სხდომას ესწრება საბჭოს წევრთა ორი მესამედი მაინც.

სხდომა აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს ფარული კენჭისყრით.

პრემია მიენიჭება იმ ნაშრომს, რომელმაც მიიღო სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმის უბრალო უმრავლესობა.

14. პრემიით დაჯილდოებულ ნაშრომის ავტორს (ავტორთა კოლექტივს) მიეცემა ფულადი ჯილდო და სპეციალური მედალი იმის აღნიშვნით, თუ რომელ წელს და რა შრომისათვის (პრაქტიკული საქმიანობისათვის) არის გაცემული პრემია.

15. იმ შემთხვევაში, თუ საკონკურსოდ წარდგენილი არც ერთი ნაშრომი არ იმსახურებს პრემიას, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომის დადგენილებით კონკურსი უქმდება და გადაიდება მომდევნო წლისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

82 არასაცხოვრებელი სადგომების საიჯარო ქირის განაკვეთების დამტკიცების შესახებ

არასაცხოვრებელი სადგომების საიჯარო ქირის გადახდევინების და საბინაო ფონდის ექსპლუატაციისა და დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის ხარჯების დაფარვაში არასაცხოვრებელი სადგომების მოიჯარეთა წილობრივი მონაწილეობის საკითხთა მოწესრიგების მიზნით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 19 დეკემბრის № 827 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭ ო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს წინადადება, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტთან, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, და დამტკიცდეს არასაცხოვრებელი სადგომების საიჯარო ქირის განაკვეთები, დანართის თა ნახმად.

არასაცხოვრებელი სადგომების საიჯარო ქირის განაკვეთები შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1982 წლის 1 იანვრიდან.

2. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ:

— შეიმუშაოს 1981 წლის 1 იანვრამდე ინსტრუქცია არასაცხოვრებელი სადგომების საიჯარო ქირის განაკვეთებისა და მათი სარგებლობის რეგულირების ღონისძიებათა შესახებ, ამ დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად, და დაუგზავნოს იგი სახელმძღვანელოდ და სამსახურებრივი სარგებლობისათვის აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს;

— გადაიანგარიშოს 1981 წლის 1 აპრილამდე არასაცხოვრებელი სადგომების იჯარის ღირებულება საიჯარო ირის ახალი განაკვეთების მიხედვით და შეუთანხმოს საიჯარო ქირის თანხა მთლიანად იმ სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთაც უკავიათ ეს სადგომები.

3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს გაითვალისწინონ 1982 და მომდევნო წლების შემოსავალ-გასავლის სამეურნეო გეგმების პროექტების შედგენისას ამ დადგენილებიდან გამომდინარე შესაბამისი ცვლილებანი არასაცხოვრებელი სადგომების საიჯარო ქირაში.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 3 სექტემბრის № 529 დადგენილების 1-ლი პუნქტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებანი ორგანიზაციათა და უწყებათა არასაცხოვრებელი სადგომების საიჯარო ქირის განაკვეთების შემცირების შესახებ, რომლებიც მიღებულია 1966 წლის 3 სექტემბრის შემდეგ, ძალაში დარჩეს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 2 ოქტომბერი, № 729

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1980 წლის 2 ოქტომბრის № 729 დადგენილების დანართი

განაკვეთები

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არასაცხოვრებელი სადგომების საიჯარო ქირისა

(მანეთობითა და კაპიკობით 1 კვადრატული მეტრი ფართობისათვის წელიწადში)

არასაცხოვრებელი სადგომებისა და შენობების სახეობანი მათი დანიშნულების მიხედვით	ქვიტკირის შენობებში		ხის შენობებში		შერეულ შენობებში	
	ძირითადი ფართობი	დამხმარე ფართობი	ძირითადი ფართობი	დამხმარე ფართობი	ძირითადი ფართობი	დამხმარე ფართობი
ქ. თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, რუსთავში, გორში, ცხინვალში, ფოთში, ჭიათურაში, ზუგდიდში, წყალტუბოში						
სავაჭრო, სამრეწველო (საწარმოო) სადგომები, აფთიაქები, მოსახლეობისათვის ყოველგვარი ფასიანი მომსახურების გამწევი საწარმოები (საპარიკმახეროები, ფოტოატელიები, სამკერვალო სახელოსნოები და ატელიეები, საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა სარემონტო და სხვა სახეობათა საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოები), მათთან მოთავსებული სავაჭრო, სამრეწველო (საწარმოო), სამშენებლო, სატრანსპორტო საწარმოთა და სხვა (არასაბიუჯეტო) ორგანიზაციათა და დაწესებულებათა კანტორები .	13—20	7—00	11—00	5—50	12—20	6—04
რესტორანები, კაფეები, ბარები, კოქტეილჰოლები, სალუდეები, სასაუზმეები, საპელმენეები, სახინკლეები, აგრეთვე სასადილოები და ბუფეტები, სადაც იყიდება ღვინო და ლუდი (დირექციის, ბუღალტერიის როგორც ძირითადი, ისევე სამსახურებრივი სადგომები და სხვ.)	14—00	7—00	11—00	5—50	13—00	6—50
საზოგადოებრივი კვების სასადილოები, დახურული ბუფეტები, საოჯახო და სარძეო სამზარეულოები, საჩაიეები	7—00	3—50	5—80	2—50	6—00	3—00

არასაცხოვრებელი სადგომებისა და შენობების სახეობანი მათი დანიშნულების მიხედვით	ქვიტკირის შენობებში		ხის შენობებში		შერეულ შენობებში	
	ძირითადი ფართობი	დამხმარე ფართობი	ძირითადი ფართობი	დამხმარე ფართობი	ძირითადი ფართობი	დამხმარე ფართობი
საბიუჯეტო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კანტორები, რომლებიც არ იღებენ შემოსავალს თავიანთი საქმიანობისაგან .	1—20	1—20	1—20	1—20	1—20	1—20
მთლიანად ან ნაწილობრივ ანარიცხების ან სპეციალური სახსრების ხარჯზე არებული ორგანიზაციები; კოოპერაციული ორგანიზაციები	4—50	3—00	4—50	3—50	4—50	3—00
საწყობები, მაცივრები, აგრეთვე საწარმოთა, ორგანიზაციათა, დ. დაწესებულებათა გარაჟები	4—80	4—80	3—00	3—00	4—80	4—80
სადგომები, რომლებიც იჯარით ეძლევათ ინდივიდუალურ მფლობელთ ავტომანქანების გარაჟებად	2—40	2—40	2—40	2—40	2—40	2—40
სადგომები, რომლებიც იჯარით ეძლევათ მხატვრებსა და მოქანდაკეებს შემოქმედებითი სახელოსნოებისათვის	3—00	3—00	3—00	3—00	3—00	3—00
სადგომები, რომლებიც იჯარით ეძლევათ თეატრებსა და კლუბებს	1—80	1—80	1—80	1—80	1—80	1—80
კარტოფილის, ხილისა და ბოსტნეულის ხანგრძლივი შენახვისათვის გათვალისწინებულ საცავებად გამოყენებული სადგომები .	2—40	2—40	1—50	1—50	2—40	2—40
პაკჰაუსის ტიპის რკინიგზისპირა საწყობები და ნავსადგურის საწყობები	1—20	1—20	1—20	1—20	1—20	1—20
რაიონული დაქვემდებარების ქალაქებსა და დაბებში						
სავაჭრო, სამრეწველო (საწარმოო) სადგომები, აფთიაქები, მოსახლეობისათვის ყოველგვარი ფასიანი მომსახურების გამწევი საწარმოები (საპარიკმახეროები,, ფოტოატელიეები, სამკერვალო სახელოსნოები და ატელიეები, საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა სარემონტო და სხვა სახეობათა საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოები), მათთან მოთავსებული სავაჭრო, სამრეწველო (სა-						

არასაცხოვრებელი სადგომებისა და შენობების სახეობანი მათი დანიშნულების მიხედვით	ქვიტკირის შენობებში		ხის შენობებში		შერეულ შენობებში	
	ძირითადი ფართობი	დამხმარე ფართობი	ძირითადი ფართობი	დამხმარე ფართობი	ძირითადი ფართობი	დამხმარე ფართობი
წარმოო), აამშენებლო, სატრანსპორტო საწარმოთა და სხვა (არასაბიუჯეტო) ორგანიზაციათა და დაწესებულებათა კანტორები .	8—88	4—44	6—00	2—76	7—56	3—72
რესტორანები, კაფეები, ბარები, კოქტეილჰოლები, სალუდეები, სასაუზმეები, საპელმენეები, სახინკლეები, აგრეთვე სასადილოები და ბუფეტები, სადაც იყიდება ღვინო და ლუდი (დირექციის, ბუღალტერიის როგორც ძირითადი, ისევე სამსახურებრივი სადგომები და სხვ.)	10—00	5—00	8—00	4—00	10—00	5—00
საზოგადოებრივი კვების სასადილოები, დახურული ბუფეტები, საოჯახო და სარძეო სამზარეულოები, საჩაიეები	5—50	2—75	4—60	2—00	5—50	2—75
საბიუჯეტო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კანტორები, რომლებიც არ იღებენ შემოსავალს თავიანთი საქმიანობისაგან .	1—00	1—00	1—00	1—00	1—00	1—00
მთლიანად ან ნაწილობრივ ანარიცხების ან სპეციალური სახსრების ხარჯზე არსებული ორგანიზაციები; კოოპერაციული ორგანიზაციები	2—30	1—60	2—80	1—60	2—30	1—60
საწყობები, მაცივრები, აგრეთვე საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა გარაჟები	3—24	2—24	2—04	2—04	3—24	3—24
სადგომები, რომლებიც იჯარით ეძლევათ ინდივიდუალურ მფლობელთ ავტომანქანების გარაჟებად	2—40	2—40	2—40	2—40	2—40	2—40
სადგომები, რომლებიც იჯარით ეძლევათ მხატვრებსა და მოქანდაკეებს შემოქმედებითი სახელოსნოებისათვის	1—60	1—60	1—60	1—60	1—60	1—60
სადგომები, რომლებიც იჯარით ეძლევათ თეატრებსა და კლუბებს	1—00	1—00	1—00	1—00	1—00	1—00

ეროვნული ბიბლიოთეკა
ტ. 82

არასაცხოვრებელი სადგომებისა და შენობების სახეობანი მაოი დანიშნულების მიხედვით	ქვიტკირის შენობებში		ხის შენობებში		შერეულ შენობებში	
	ძირითადი ფართობი	დამხმარე ფართობი	ძირითადი ფართობი	დამხმარე ფართობი	ძირითადი ფართობი	დამხმარე ფართობი
კარტოფილის, ხილისა და ბოსტნეულის ხანგრძლივი შენახვისათვის გათვალისწინებულ საცავებად გამოყენებული სადგომები .	1—20	1—20	1—20	1—20	1—20	1—20
პაკჰაუსის ტიპის რკინიგზისპირა საწყობები და ნავსადგურის საწყობები	1—00	1—00	1—00	1—00	1—00	1—00

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი:

1. დამხმარე სადგომების ტარიფის მიხედვით გადახდებათ ქირა მხოლოდ ვესტიბიულებისა და კიბის უჯრედებისათვის.
2. თუ სარდაფები ნესტიანია, ქირას დააკლდება 25 პროცენტი.
3. თუ არ არის წყალსადენი და კანალიზაცია, ქირას დააკლდება 10 პროცენტი.
4. ანტრესოლების ფართობი ნაზღაურდება ისევე, როგორც ძირითადი ფართობი.
5. სავაჭრო და სამრეწველო საწარმოები საქონლისა და მასალების შესანახად გამოყენებული ფართობის ქირას იხდიან როგორც ძირითადი ფართობიათვის, ხოლო აფთიაქები, სახელოსნოები და საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა საწარმოები — ორგორც სასაწყობო ფართობისათვის.
6. იმ საბიუჯეტო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კანტორებისათვის გათვალისწინებული განაკვეთები, რომლებიც არ იღებენ შემოსავალს თავიანთი საქმიანობისაგან, გამოიყენება თანამშრომელზე 4,5 კვადრატული მეტრი ფართობისათვის. ზედმეტი ფართობისათვის საჯარო ქირა გადახდება სამმაგად.
7. ინვალიდებს გარაჟები უფასოდ ეძლევათ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

№ ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

83 საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის საკითხები

„წყლის გამოყენებისა და დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 22 ივნისის № 591 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ:

— საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც წყლის გამოყენებისა და დაცვის საკითხებს განაგებს, ამავე დროს თანამდებობის მიხედვით არის საქართველოს სსრ წყლის გამოყენების რეგულირებისა და დაცვის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი;

— საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის წყლის სახელმწიფო აღრიცხვისა და გამოყენების რესპუბლიკური ინსპექციის უფროსი ამავე დროს თანამდებობის მიხედვით არის საქართველოს სსრ წყლის გამოყენების რეგულირებისა და დაცვის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილე;

— საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის წყლის სახელმწიფო აღრიცხვისა და გამოყენების რესპუბლიკური ინსპექციის განყოფილებათა უფროსები, ზონალურ ინსპექციათა უფროსები, საზღვაო ინსპექციის უფროსი და ჰიდროქიმიურ ლაბორატორიათა გამგეები ამავე დროს თანამდებობის მიხედვით არიან წყლის გამოყენების რეგულირებისა და დაცვის უფროსი სახელმწიფო ინსპექტორები;

— საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარი სპეციალისტები, წამყვანი ინჟინრები, უფროსი ინჟინრები და ინჟინრები, რომლებიც წყლის გამოყენების რეგულირებისა და დაცვის საკითხებზე მუშაობენ, ამავე დროს თანამდებობის მიხედვით არიან წყლის გამოყენების რეგულირებისა და დაცვის სახელმწიფო ინსპექტორები;

— წყლის გამოყენებისა და დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის დებულება მე-11 პუნქტის შესაბამისად:

საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის სამმართველოს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის კომიტეტის, საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს და საქართველოს შავი ზღვის აუზის თევზის მარაგის დაცვის, კვლავწარმოებისა და თევზჭერის რეგულირების სამმართველოს ორგანოთა და თანამდებობის პირთა უფლება-მოვალეობანი წყლის გამოყენებისა და დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას განისაზღვრება სახელმწიფო ზედამხედველობის (კონტროლის) შესაბამის სახეობათა დებულებებით, ზედამხედველობის (კონტროლის) განმხორციელებელ ორგანოთა დებულებებით და მოქმედი კანონმდებლობის სხვა აქტებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული ორგანოები წყლის გამოყენებისა და დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის განსახორციელებელ საქმიანობას ეწევიან საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებულად.

2. საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა:

— მიიღოს ზომები წყლის გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოებისათვის დაკისრებული სახელმწიფო კონტროლის ფუნქციების შესასრულებლად მათი მუშაობის დონის ამაღლებისათვის;

— უზრუნველყოს წყლის გამოყენების რეგულირებისა და დაცვის უფროს სახელმწიფო ინსპექტორთა და სახელმწიფო ინსპექტორთა მუშაობის სტილისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფა, გააძლიეროს მათი პასუხისმგებლობა წყლის ობიექტების რაციონალური გამოყენების და გაჭუჭყიანების, დანაგვიანებისა და დაშრეტისაგან ზედაპირული წყლების დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 3 ოქტომბერი, № 731

84 ბოლნისის ტუფის ფილების საბითუმო ფასის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს წინადადება, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტთან და რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან, და დაწესდეს 1981 წლის 1 იანვრიდან ბოლნისის ტუფის ფილების შემდეგი შესასყიდი ფასი: 1 კვადრატული მეტრი — 38 მანეთი და 50 კაპიკი.

2. საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტმა შეიტანოს ბოლნისის ტუფის ფილების საბითუმო ფასი შესაბამის პრეისკურანტში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 10 ოქტომბერი, № 747

ეროვნული ბიბლიოთეკა

85 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 30 ივნისის № 538 დადგენილების მე-4 დანართში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რესპუბლიკის მოსახლეობის მიერ წარმოებული თესლოვანი ხილის სახელმწიფო შესყიდვის გადიდების მიზნით მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მეხილეობის რაიონების ხელმძღვანელთა წინადადება და ნაწილობრივ შეიცვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 30 ივნისის № 538 დადგენილების № 4 დანართი და ამა წლის 10 ოქტომბრიდან, როგორც გამონაკლისი, განთავისუფლდეს რესპუბლიკის მოსახლეობა სახელმწიფოსათვის მიყიდულ თესლოვან ხილზე ფასდაკლებისაგან ყოველ კილოგრამზე 1,5 კაპიკის ოდენობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 10 ოქტომბერი, № 752

86 საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს დებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს შემადგენლობიდან საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანებების „საქჩაისა“ და „სამტრესტის“ გამოყოფასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 15 ნოემბრის № 572 დადგენილებით და მტკიცებულ საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს დებულებაში შემდეგი ცვლილებანი:

— ჩამოყალიბდეს 1-ლი პუნქტის პირველი და მეორე აბზაცები შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად არის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო და თავის საქმიანობაში ემორჩილება როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ისევე სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო ახორციელებს რესპუბლიკის საკონსერვო, ხილ-კენკრეულის ღვინის, ლუდის, უალკოჰოლო სას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელების, მინის ტარის მრეწველობის, მინერალური წყლების ჩამოსხმის პუროფუნთუშეულის, მაკარონის, საკონდიტრო, თამბაქოს, ეთერზეთოვანი და ზეოცხიმის მრეწველობის, აგრეთვე მხატვრული ტარის მრეწველობის ხელმძღვანელობას";

— ჩამოყალიბდეს მე-5 პუნქტის პირველი აბზაცი შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო ხელმძღვანელობს და მართავს კვების მრეწველობას, როგორც წესი, სამრეწველო და საწარმოო გაერთიანებების, აგრარულ-სამრეწველო გაერთიანების, ტრესტის მეშვეობით, აგრეთვე უშუალოდ ცალკეულ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს";

— ჩამოყალიბდეს მე-6 პუნქტის პირველი აბზაცი შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო წყვეტს ყველა საკითხს მისთვის მინიჭებულ უფლებათა ფარგლებში და შეუძლია მიანდოს მის კომპეტენტიაში შემავალი ცალკეული საკითხების გადაწყვეტა საქვეუწყებო სამრეწველო და საწარმოო გაერთიანებებს, აგრარულ-სამრეწველო გაერთიანებას, ტრესტს, საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს;"

— ჩამოყალიბდეს 26-ე პუნქტის მეორე აბზაცი შემდეგი რედაქციით:

„სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს, აგრეთვე სამრეწველო და საწარმოო გაერთიანებათა, აგრარულ-სამრეწველო გაერთიანების, ტრესტის, უშუალოდ სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ ცალკეულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა, ცენტრალური აპარატის სამმართველოთა და განყოფილებათა დებულებებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 27 ოქტომბერი, № 771

ეროვნული ბიბლიოთეკა

87 „მეორეული ნედლეულის დამზადებისა და გამოყენების საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 17 სექტემბრის № 803 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე

„მეორეული ნედლეულის დამზადებისა და გამოყენების საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 17 სექტემბრის № 803 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 6 მარტის № 265 დადგენილება „საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს თბილისის სალტეების სარემონტო სახელოსნოების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“;

— მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, მე-4, მე-6 და მე-7 პუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 25 ოქტომბრის № 1630 დადგენილების „მეორეული ნედლეულის დამზადების გადიდების შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 12 ოქტომბრის № 640 დადგენილება „ქაღალდად და მუყაოდ გადასამუშავებელი მაკულატურის შეგროვების ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ“;

— 1-ლი პუნქტის 1-ლი აბზაცი, მე-2 პუნქტი, მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები, მე-6 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 31 მარტის № 166 დადგენილებისა საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მეორადი ნედლეულის შეგროვებისა და გამოყენების დაგეგმვის მოწესრიგების ზომების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1980 წ. 28 ოქტომბერი, № 778

ინდექსი 76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 5. 1980 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/III-81 წ. ქაღალდის ზომა 70×1/16,
საბეჭდი თაბახი 3,5, სააღრიცხვო თაბახი 3,5.

შეკვეთა № 63 УЕ 04322 ტირაჟი 1730

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

8. 44/65

ეროვნული
ბიბლიოთეკა